საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

17 დეკემბერი, 2018 წელი **ქ. თბილისი**

მოსამართლე — მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

დისციპლინური საქმე №19/18

-- -- 2018 წლის 29 იანვრის №-- საჩივრის საფუძველზე, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[5] მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75[6] მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

წინასწარი შემოწმების შედეგად მომზადებული 2018 წლის 21 ივლისის №19/18 დასკვნა დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წარდგენილ იქნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 17 დეკემბრის სადისციპლინო სხდომაზე განსახილველად.

1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივარში მითითებულ შემდეგ ფაქტზე:

საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ მოსამართლე -- -- უხეშად დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა, საქართველოს კონსტიტუცია და სამოსამართლეო ეთიკის ნორმები.

საჩივრის ავტორის მითითებით, სასამართლო სხდომაზე დასაკითხი ორი მოწმე ცრუ ჩვენების მიცემაზე გააფრთხილა სასამართლო სხდომის მდივანმა, რაც წარმოადგენს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 153-ე მუხლის მე-4 ნაწილის უხეშ დარღვევას. ამ კონკრეტულ შემთხვევაში მოსამართლემ არ განახორციელა კანონით მასზე დაკისრებული მოვალეობა, აირიდა თავი რა ამ მოვალეობის შესრულებისაგან და უკანონოდ დაავალა სასამართლო სხდომის მდივანს მოსამართლის უფლებამოსილების განხორციელება.

საჩივრის ავტორი ასევე უთითებს მოსამართლე -- -- მხრიდან საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 153-ე მუხლის მე-2, მე-5, მე-6 და მე-7 ნაწილის მოთხოვნების

დარღვევაზე, რაც გამოიხატა შემდეგში, რომ მოსამართლემ სხდომის მდივნის მეშვეობით დაადებინა ფიცი მოწმეებს, ამასთან, მოსამართლეს არ განუმარტავს რომელი მნიშვნელობის ფიცი დაედოთ რელიგიური, არარელიგიური თუ ფიცის შემცველი დადასტურება.

საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ მისი, მისი დაცვის ქვეშ მყოფის და დარბაზში მყოფი პირების მიმართ მოსამართლე იყო აგრესიული, რაც გამოიხატა მის უკანონო დაჯარიმებაში და დარბაზში მყოფი სხვა პირების უკანონო გაძევებაში. იგი ასევე უთითებს მისი დაჯარიმების შესახებ განჩინების დაუსაბუთებლობაზე.

2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილ იქნა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

2017 წლის 22 მარტს -- -- სარჩელით მიმართა -- საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის -- -- მიმართ, თანხის დაკისრების - ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით.

2018 წლის 11 იანვარს საქმეზე გაიმართა სასამართლო მთავარი სხდომა, რა დროსაც მოსამართლე -- -- სხდომის მიმდინარეობისას მობილურ ტელეფონზე დაფიქსირებული ზარის გამო სასამართლო სხდომის დარბაზიდან გააძევა დარბაზში მყოფი პირი - -- --.

იგივე სხდომაზე, ფაქტობრივი გარემოებების დადგენის მიზნით, მოსამართლე მიმართავდა მოპასუხე -- --, რა დროსაც მოპასუხის წარმომადგენელი მის მარწმუნებელს უმეორებდა მოსამართლის დასმულ შეკითხვებს, რაზეც მოსამართლემ ორჯერ მისცა შენიშვნა, ხოლო იგივე ფაქტის განმეორების გამო გამოუცხადა გაფრთხილება. გაფრთხილებაზე მოპასუხის წარმომადგენლის -- -- გაკეთებული რეპლიკა - ,,დამაშინეთ, დამაჯარიმეთ, კიდევაც გამაძევეთ“, მოსამართლე -- -- მიიჩნია წესრიგის დარღვევად და -- -- დააჯარიმა 50 ლარით.

სასამართლო მთავარ სხდომაზე დაიკითხა ორი მოწმე, რა დროსაც დაკითხვის დაწყებამდე სხდომის მდივანმა გააფრთხილა მოწმეები ცრუ ჩვენების ან ჩვენების მიცემაზე უარის თქმისთვის პასუხისმგებლობაზე და ხელი მოაწერინა ხელწერილზე.

2018 წლის 11 იანვრის მთავარ სხდომაზე მოსარჩელის წარმომადგენლის საპაექრო სიტყვაზე გაკეთებული რეპლიკის გამო მოსამართლემ სხდომათა დარბაზიდან გააძევა -- --.

-- საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 23 იანვრის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ.

3. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-2 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს. იმისათვის, რომ დადგინდეს ჰქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს, საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევაფასოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს, კერძოდ, უნდა შეფასდეს შეიცავს თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს განსახილველ საქმეზე საჩივრის ავტორის მიერ დასახელებული საკითხები.

საქართველოს კონსტიტუციის 84-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, არავის არა აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად და თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე. ამავე კანონის 75^{10} მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, კანონის არასწორი განმარტება, რომელსაც საფუძვლად უდევს მოსამართლის შინაგანი რწმენა, არ არის დისციპლინური გადაცდომა და აღნიშნული ქმედებისათვის მოსამართლეს არ ეკისრება დისციპლინური პასუხისმგებლობა.

მოსამართლე -- -- წარმოადგენს სამოქალაქო საქმის განმხილველ მოსამართლეს, შესაბამისად, საჩივრის ავტორის მიერ მითითებული გარემოებების შეფასებისას ყურადღება უნდა მიექცეს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობას.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 211-ე მუხლის თანახმად, მხარეები, წარმომადგენლები, მოწმეები, სპეციალისტები, თარჯიმნები, აგრეთვე სასამართლოს სხდომის დარბაზში მყოფი ყველა მოქალაქე ვალდებულია დაიცვას დადგენილი წესი და უსიტყვოდ დაემორჩილოს მოსამართლის განკარგულებას.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 212-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სასამართლო სხდომაზე წესრიგის დარღვევის, სხდომის თავმჯდომარის (მოსამართლის) განკარგულებისადმი დაუმორჩილებლობის ან სასამართლოს მიმართ უპატივცემულობის შემთხვევაში სხდომის თავმჯდომარეს (მოსამართლეს) ადგილზე თათბირით გამოაქვს განკარგულება პროცესის მონაწილის ან/და სხდომაზე დამსწრის დაჯარიმების ან/და სხდომის

დარბაზიდან გაძევების შესახებ. თუ გაძევებული პირი კვლავ განაგრძობს წესრიგის დარღვევას, სასამართლოს მანდატური უზრუნველყოფს მის გაყვანას სასამართლოდან, ამასთანავე, მის მიმართ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ამ მუხლით გათვალისწინებული ჯარიმა ან პატიმრობა. ამავე მუხლის მე-6 ნაწილის მიხედვით, სასამართლო სხდომაზე წესრიგის დამრღვევ პირს, მათ შორის, გაძევებულ პირს, სხდომის თავმჯდომარის (მოსამართლის) განკარგულებით შეიძლება დაეკისროს ჯარიმა 50-დან 500 ლარამდე ოდენობით, რაზედაც გაიცემა სააღსრულებო ფურცელი. თუ დაჯარიმებული პირი კვლავ განაგრძობს წესრიგის დარღვევას, სხდომის თავმჯდომარეს (მოსამართლეს) შეუძლია დაუყოვნებლივ გაზარდოს ჯარიმის ოდენობა ამ ნაწილით განსაზღვრულ ფარგლებში.

ამდენად, საჩივრის ავტორის მოთხოვნილი, მოსამართლე -- -- მიერ მისი დაჯარიმების შესახებ განჩინების და დარბაზში მყოფი პირების გაძევების შესახებ მიღებული გადაწყვეტილებების შეფასება, წარმოადგენს კანონიერების სფეროს და ვერ გახდება დისციპლინური სამართალწარმოების დროს მსჯელობის საგანი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 145-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ჩვენების მიცემაზე უარის თქმისა და განზრახ არასწორი ჩვენების მიცემისათვის მოწმეს შეიძლება დაეკისროს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 153-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მოწმის მიერ ფიცის დადება შეიძლება მოხდეს მხოლოდ მაშინ, თუ მის ჩვენებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მხარეთა შორის წამოჭრილი დავის გადაწყვეტისათვის და სასამართლო ამას მიზანშეწონილად ჩათვლის.

შესაბამისად, რაც შეეხება მოსამართლის მიერ საპროცესო ნორმების დარღვევის საკითხს, საყურადღებოა, რომ მოწმეთა დაკითხვისას, მოწმეებს არ დაუდიათ ფიცი (რაზეც მიუთითებს საჩივრის ავტორი) და მხოლოდ ხელი მოაწერეს ხელწერილს, რაც უზრუნველყო სასამართლო სხდომის მდივანმა. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 153-ე მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარე, ფიცის დადების საკითხის მიზანშეწონილობის განსაზღვრა სასამართლოს პრეროგატივაა. შესაბამისად, თუ სასამართლომ არ მიიჩნია მიზანშეწონილად ფიცის დადება მოეთხოვა მოწმისთვის და შემოიფარგლა მხოლოდ ხელწერილით, ეს მის უფლებამოსილებას განეკუთვნება. გასათვალისწინებელია, რომ მოწმის მიერ ფიცის დადებისგან განსხვავებით, ხელწერილის დადებისას, მოსამართლის უშუალო მონაწილოებას საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XIII თავი (მათ შორის სსსკ-ის 145-ე მუხლი) არ ითვალისწინებს, შესაბამისად რაიმე დარღვევა მოწმეთა დაკითხვის დროს არ დადასტურდა.

4. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

5.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ, დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ არ არსებობს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{1} მუხლით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი. შესაბამისად, 2018 წლის 17 დეკემბრის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად (სადისციპლინო სხდომაზე დამსწრე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 14 წევრთაგან 14 ხმით, სრული შემადგენლობის 2/3-ის უმრავლესობა), მიიჩნია, რომ მოსამართლე -- -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა ,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით, 75^{10} მუხლის მე-5 პუნქტითა და 75^{12} მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე №19/18 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი